საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 46 54

06/08/2018

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 29-ე მუხლის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ბ.ე)“ ქვეპუნქტის, ,,გ“, და ,,გ)ა“ ქვეპუნქტის, 44-ე მუხლის, 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ა“, ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“, ,,ვ“ და ,,ზ“ ქვეპუნქტების, მე-4 და მე-5 ნაწილის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, მე-4 ნაწილის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ..დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის,,ა“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 2. განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზნად, გამოსაკვლევი საკითხის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების: მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის და მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლა/ანალიზი.

მუხლი 3. განისაზღვროს დროებითი სამუშაო ჯგუფის გამოსაკვლევ საკითხთა წრედ: ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ მ/წ აპრილ-მაისის თვეში ხეების გადაბელვასთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობის კანონიერების შესწავლა, საქმიანობის კანონიერების დადგენის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის შედგენილი აუდიტის ანგარიშის შესწავლა, მასში აღნიშნული მსჯელობების, დასკვნების, რეკომენდაციების მომზადების სამართლებრივი საფუძვლების დადგენა, აუდიტის ანგარიშის საფუძველზე გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის და სხვა ოფიციალური დოკუმენტების შესწავლა/ანალიზი.

მუხლი 4. განისაზღვროს დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა 13-ი წევრით.

მუხლი 5. განისაზღვროს დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა 3 თვით; დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მიერ საკრებულოსათვის დასაბუთებული წინადადების წარდგენით, აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს თითო თვით.

მუხლი 6. დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის შემდეგი პერსონალური შემადგენლობა:
1. ნოდარ ფანჩულიძე - თავმჯდომარე;
2. გიორგი ფანჩულძე - წევრი;
3. ალექსანდრე ზანკალიანი - წევრი;
4. სოფიკო სიუკაევა - წევრი;
5. ლაშა ლანჩავა - წევრი;
6. გია ქასრაშვილი - წევრი;
7. ბადრი ბუცხრიკიძე - წევრი;
8. ეკა მაკარიძე - წევრი;
9. ვალერი ლილუაშვილი - წევრი;
10.მირზა აფრიდონიძე - წევრი;
11. გიორგი ბერძულიშვილი - წევრი;
12. იმედა რობაქიძე - წევრი.

მუხლი 7. დროებითი სამუშაო ჯგუფი თავის სხდომებს წარმართავს საქართველოს კანონით ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი წესით.

მუხლი 8. დროებითი სამუშაო ჯგუფი სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

მუხლი 9. დროებითი სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის შესასწავლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი-დან გამოითხოვოს საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ფორმით, შეაგროვოს ცნობები, მოუსმინოს დაინტერესებეულ მხარეებს, შეუფერხებლად შევიდეს საკრებულოსთან ანგარივალდებული ორგანოებსა და სტრუქტურულ ერთეულებში, გაეცნოს ადგილზე ადმინისტრაციული წარმოების პროცედურებს, ზემდგომი უფროსის ცალკეულ დავალებებს, დავალებების სისწორეს და შინაარსს, მოკვლევის მასალებს, მომზადებულ ანგარიშებს, დასკვნებს, რეკომენდაციებს, საქმესთან დაკავშირებულ ოფიციალურ მიმოწერებს, საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული საჯარო პირისგან მოითხოვოს ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამაში (edocument) დაშვება/დათვალიერება, საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით, დაიბაროს თავის სხდომაზე განმარტებების მიღების მიზნით კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საჯარო და კერძო პირი.

მუხლი 10.
1. დროებითი სამუშაო ჯგუფის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.
2.განსახილველ საკითხზე ინფორმაციის მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად გამოვლენილი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის შესახებ დროებით სამუშაო ჯგუფს უფლება აქვს დასვას საკითხი საკრებულოს წინაშე, კანონმდებლობის დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით რეაგირების მიზნით, ხოლო კანონმდებლობის დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით – საკრებულოს წინაშე დააყენოს საკითხი კონკრეტულ პასუხისმგებელ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ადმინისტრაციული ან დისციპლინური წარმოების აღძვრის თაობაზე.

3. საკითხის განხილვის შედეგების, გასატარებელ და მიღებულ ღონისძიებათა შესახებ დროებით სამუშაო ჯგუფს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს ერთი თვისა.

მუხლი 11. დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

მუხლი 12. დაევალოს საკრებულოს აპარატს უზრუნველყოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების აუდიო და ვიდეო ჩაწერა.

მუხლი 13. ეთხოვოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას აღნიშნული განკარგულება გააცნოს მერიის თანამდებობის პირებს, სტრუქტურულ ერთეულებს და მერიის (მუნიციპალიტეტის) მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

მუხლი 14. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 15. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო